ზემო აფხაზეთში
აფხაზეთის ავტონომიური
რესპუბლიკის მთავრობის
წარმომადგენლობა

ХЫХЬТӘИ АҨСНЫ АҨСНЫТӘИ
АВТОНОМТӘ РЕСПУБЛИКА
АИҲАБЫРА РХАҬАРНАКРА

საქართველო, ქ. თბილისი 0177, თამარაშვილის 15/ა ელ.ფოსტა: zemoafxazeti@gmail.com

N 01/83
10/12/2025

83-01-2-202512101217

სსიპ - საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს

თავმჯდომარეს

ქ-ნ ნათია ჩირიკაშვილს

ზემო აფხაზეთში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის

წარმომადგენლობის 2025 წლის ანგარიში

საჯარო ინფორმაციის გაცემის მდგომარეობის შესახებ

საანგარიშო პერიოდში ზემო აფხაზეთში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა საქმიანობას ახორციელებდა საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობის საფუძველზე, მათ შორის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ნორმების მოთხოვნათა შესაბამისად.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, წარმოგიდგენთ ანგარიშს ზემო აფხაზეთში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე. ა) 2025 წლის საანგარიშო პერიოდში ზემო აფხაზეთში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობაში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შემოვიდა 12 (თორმეტი) წერილი, საჯარო ინფორმაციის შესწორების შეტანის მოთხოვნით - 0;

ბ) დადებითი პასუხით დაკმაყოფილდა 12 (თორმეტი);

გ) ზემო აფხაზეთში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის აპარატს გააჩნია მონაცემთა ბაზა, რომელიც მოიცავს თანამშრომელთა პერსონალურ მონაცემებს და მასზე წვდომა გააჩნიათ უწყების შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს მათი კომპეტენციის ფარგლებში;

დ) ზემო აფხაზეთში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის თანამშრომლებს არ დაურღვევიათ ამ კოდექსის მოთხოვნები, შესაბამისად არ მომხდარა დისციპლინარული სახდელის დადება;

ე) ზემო აფხაზეთში აფხაზეთის ა.რ. მთავრობის წარმომადგენლობას არ განუცხადებია უარი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე;

3) ზემო აფხაზეთში აფხაზეთის ა.რ. მთავრობის წარმომადგენლობამ საჯარო ინფორმაცია გასცა უსასყიდლოდ.

პატივისცემით,

მევლუდ ჯაჭვლიანი

წარმომადგენლობის ხელმძღვანელი

ზემო აფხაზეთში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა

კვალიფიცირებული ელექტრონული ხელმოწერა • QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE